საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კულტურის სტატისტიკის მაჩვენებლები

2024 წელი

13.06.2025
www.geostat.ge

13.06.2025

კულტურის სტატისტიკა
2024 წელი

თეატრების სტატისტიკური გამოკვლევა

2024 წლის მონაცემებით, საქართველოში 54 პროფესიული თეატრი ფუნქციონირებდა, აქედან, 43 ერთეული იყო დრამის, მუსიკალური კომედიისა და მინიატურების, 7 - თოჯინების, 2 - ოპერისა და ბალეტის, ხოლო 2 - ბავშვთა და მოზარდმაყურებელთა თეატრი. თეატრების უმრავლესობა (53.7 პროცენტი) ფუნქციონირებდა ქ. თბილისში, 14.8 პროცენტი - იმერეთში, ხოლო დარჩენილი 31.5 პროცენტი სხვა რეგიონებში.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესიული თეატრების განაწილება თეატრის ტიპის მიხედვით, 2024 წელს.

დიაგრამა №1

თეატრების განაწილება თეატრის ტიპის მიხედვით, 2024 წელს



13.06.2025

2024 წელს ქვეყანაში 4.8 ათასი ღონისძიება ჩატარდა, აქედან 177 იყო გასვლითი (ქალაქის გარეთ). საზღვარგარეთ ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობამ 136 ერთეული შეადგინა.

2024 წელს ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით 3.5 პროცენტით შემცირდა და 4 518 ერთეული შეადგინა. სპექტაკლების დაახლოებით ორი მესამედი (69.4 პროცენტი) ქ. თბილისში ჩატარდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2023-2024 წლებში.

დიაგრამა №2

ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2023-2024 წლებში
(ერთეული)



13.06.2025

2024 წელს ღონისძიებებზე დამსწრე მაყურებელთა საერთო რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით 17.6 პროცენტით შემცირდა და 636.1 ათასი შეადგინა. მაყურებელთა ორი მესამედი (66.2 პროცენტით) ქ. თბილისზე მოდის, ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე იმერეთია (10.3 პროცენტით).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მაყურებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2023-2024 წლებში.

დიაგრამა №3

მაყურებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2023-2024 წლებში

(ათასი კაცი)



მუზეუმების სტატისტიკური გამოკვლევა

2024 წელს საქართველოში 261 მუზეუმი და მუზეუმ-ნაკრძალი ფუნქციონირებდა, საიდანაც 104 ერთეული წარმოადგენს მემორიალურ მუზეუმს, 74 ერთეული - ისტორიულს (მხარეთმცოდნეობის), 23 ერთეული - ხელოვნების, 13 ერთეული - მუზეუმ-ნაკრძალს, 2 ერთეული - ლიტერატურულს, ხოლო 45 - სხვა სახის მუზეუმს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების განაწილება ტიპების მიხედვით, 2024 წელს.

დიაგრამა №4

მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების განაწილება 2024 წელს



2024 წელს ყველაზე მეტი მუზეუმი ფუნქციონირებდა ქ. თბილისში (22.6%). ამ მაჩვენებლით მეორე და მესამე ადგილებზე იმერეთის (15.3%) და კახეთის (14.2%) რეგიონებია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2024 წელს.

დიაგრამა №5

მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2024 წელს

(ერთეული)



13.06.2025

2024 წელს მუზეუმებში დამთვალიერებელთა რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით 7.8 პროცენტით შემცირდა და 1.9 მლნ. კაცი შეადგინა. საშუალოდ ერთ მუზეუმზე 7.3 ათასი დამთვალიერებელი მოდის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დამთვალიერებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2023-2024 წლებში.

დიაგრამა №6

დამთვალიერებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2023-2024 წლებში

(ათასი კაცი)



2024 წელს მუზეუმებში ექსკურსიების რაოდენობა 3.0 პროცენტით შემცირდა და 45.0 ათასი შეადგინა, ხოლო გამოფენათა რაოდენობა - 2.5 პროცენტით გაიზარდა და 939 ერთეული იყო.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge